"სასამართლოს საქმიანობის შემფასებელი საზოგადოებაა"

"შარშანდელთან შედარებით გაორმაგებულია სასამართლოში შემოსულ საქმეთა რაოდენობა, განსაკუთრებით, სამოქალაქო საქმეების რიცხვი. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების სამართლებრივი დონე გაიზარდა და მათ აქვთ სასამართლოს ნდობა. შარშან ჩატარებული კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 68 პროცენტი ენდობოდა სასამართლოს. სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა ახლახანს - მაისის თვეში ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად აფასებს და სასამართლოს ენდობა გამოკითხულთა 70 პროცენტი," - აცხადებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ლევან თევზაძე, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

- ბატონო ლევან, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება იყო, სასამართლოების გაერთიანება - შეიქმნა ქუთაისის გაერთიანებული სასამართლო. რას გულისხმობს სასამართლოების გაერთიანება და რა შედეგი მოჰყვა ამ სტრუქტურულ სიახლეს?

- საქმეთა დროული განხილვა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რამაც განაპირობა მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხების დროულ განხილვას, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კატეგორიის ნაკლებად რთული საქმეების გადაწყვეტას. მაგისტრატი მოსამართლეების სისტემა შედის დიდი, გაერთიანებული სასამართლოების იურისდიქციაში და წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლებას იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ არსებობს გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. ჩვენს შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2010 წლის 22 სექტემბრიდან ტყიბულის, წყალტუბოს და ბაღდათის რაიონული სასამართლოები გახდნენ მაგისტრი სასამართლოები და გაერთიანდნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. ყოველივე ამან კი, განაპირობა სასამართლოში არსებული დავების სწრაფად, ეფექტიანად და ხარისხიანად განხილვა. ამასთან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეები საქმეებს განიხილავენ სპეციალიზაციის მიხედვით და მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვისას რაიმე შეცდომის დაშვების ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

- როგორ ფუნქციონირებს მაგისტრატი სასამართლოები ბაღდადში, წყალტუბოსა და ტყიბულში. მოსახლეობის მომსახურების სერვისის გაუმჯობესების გარდა კიდევ რა ფუნქციები აქვს მათ და როგორი კატეგორიის საქმეებს განიხილავენ?

- მაგისტრი მოსამართლეები თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე განიხილავენ საქმეებს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეებზე - ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან და იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებების კანონიერებას, აღკვეთ ღონისძიებებს, გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ქმედებების გამო საჩივრებს;

სამოქალაქო სამართლის კუთხით - ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს. უდავო და გამარტივებულ წარმოების საქმეებს, საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და ბავშვის მიკუთვნების თაობაზე წარმოებული დავებისა;

ხოლო ადმინისტრაციული სამართლის კუთხით - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებს, აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს, საჯარო სამსახურში შრომით ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობებს ბრძანების გამოცემის თაობაზე. არანებაყოფლობით ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხებს.

საქმეების განხილვის მსგავსმა დიფერენცირებამ ხელი შეუწყო დავების სწრაფ და ეფექტურად გადაწყვეტას. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოებში აღარ არის თვეობით, წლობით განუხილველი საქმეები, უფრო მეტიც, ყველა კატეგორიის საქმეზე საქმეთა განხილვის ვადის საერთო მაჩვენებელი ერთ თვემდე მერყეობს. სასამართლოში მოსულმა მოქალაქეებმა უკვე კარგად იციან, რომ მათ საქმეებს დროულად და ხარისხიანად განიხილავენ.

- გარდა სასამართლოების გაერთიანებისა, საინტერესოა, რა ეტაპზეა ახლა რეფორმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და ამ პერიოდისთვის რა არის ყველაზე პრიორიტეტული თქვენთვის?

- როგორც მოგეხსენებათ, 2008 წლიდან დაიწყო სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე რეფორმის მეორე ტალღა. რაც, მთელი რიგი პროგრესული ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, საზოგადოებრივი ნდობისა და სამართლებრივი შეგნების ამაღლების კუთხით.

როგორც სასამართლოს მთელი სისტემა, ისევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლო მობილიზებულია, რომ თავისი წვლილი შეიტანოს სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში. რეფორმის პირობები მიმდინარე და მზარდია, თითოეული ეტაპი საზოგადოებისა და ზოგადად, ქვეყანაში სამართლის განვითარებასთა�ა დაკავშირებული. ამიტომაც, გეტყვით, რომ გვაქვს უზარმაზარი შედეგები, რასაც სასამართლოში შემოსვლისთანავე იგრძნობთ. გარკვეული ეტაპები დავასრულეთ და ვაგრძელებთ განვითარებას - ჩვენ ვიზრდებით და შესაბამისად, მიმდინარე პროცესებში ძალზე აქტიურად ვართ ჩაბმული.

სარეფორმო ცვლილებების ჩამოთვლა ახლა ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ უზარმაზარი სამუშაოები ჩატარდა, რის გამოც, მივიღეთ სრულყოფილი, სწრაფი, ეფექტური და, რაც ყველაზე მთავარია, ყველასთვის ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება.

- ბატონო ლევან, ძალზე ხშირად გამოითქმის პრეტენზიები მოსამართლეთა კვალიფიკაციის თაობაზე, როგორია თქვენი სასამართლოს მოსამართლეების კვალიფიკაციის ხარისხი? მით უმეტეს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ძირითადად, ახლადდანიშნული მოსამართლეები საქმიანობენ.

- ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეები მართლაც ახლადდანიშნულები არიან, მაგრამ სანამ მოსამართლეებად დაინიშნებოდნენ სრულყოფილი სპეციალური მომზადება გაიარეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და იქ მიღებულ მაღალი დონის ცოდნას სასამართლოში უკეთებენ რეალიზებას.

მოსამართლის კვალიფიკაციაზე პირველ რიგში, მათ მიერ განხილული საქმეების ხარისხით უნდა ვისაუბროთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დამთავრებულ საქმეთა რაოდენობიდან მხოლოდ 10 პროცენტი საჩივრდება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, სადაც, ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკით, საქმეების უმტესობა ძალაში რჩება, რაც მოსამართლეთა მაღალ პროფესიონალიზმზე და კვალიფიკაციაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, მოსამართლეთა პროფესიონალიზმს ადასტურებს ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით გაორმაგდა განსახილველ საქმეების მაჩვენებელი, რაც ასევე, პირდაპირაა დაკავშირებული საზოგადოების ნდობის ზრდასა და სასამართლო რეფორმის წარმატებასთან.

- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით პრეტენზიებს გამოთქვამენ საერთაშორისო ორგანიზაციები, აცხადებენ, რომ ქართული მართლმსაჯულება პოლიტიზირებულია, რომ დამოუკიდებლობის ხარისხი ძალზე დაბალია.

- თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მსგავსი მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა სამართლებრივი აქტებით დასჯადი ქმედებაა. ეს კანონი ჩვენმა მოსამართლეებმა ძალზე კარგად იციან და დამერწმუნეთ, ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში მას აუცილებლად მოჰყვებოდა რეაგირება.

სასამართლოს დისკრედიტაციის მიზნით მსგავს განცხადებებს ძირითადად, პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები აკეთებენ ან სასამართლო განხილვაში მონაწილე ის მხარე, რომლის სასურველი გადაწყვეტილებაც ვერ გამოვიდა. თუმცა, ვფიქრობ, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ობიეტური, სამართლიანი და სტაბილური გადაწყვეტილებები მსგავს მოსაზრებებს აბათილებს. როგორც გითხარით, სტატისტიკა ადასტურებს, რომ ჩვენი სასამართლოს მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სამართლიანია და მათი დიდი ნაწილი ზემდგომ ინსტანციაშიც აღარ იცვლება.

- სასამართლოს საქმიანობის მთავარი შემფასებელი საზოგადოებაა, როგორია თქვენი ინფორმაცია, სარგებლობს ქუთაისის სასამართლო საზოგადოების ნდობით? არსებული ინფორმაციით, სასამართლოს საქმიანობის შესაფასებლად საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაატარეს სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა, როგორ შეაფასეს მოქალაქეებმა თქვენი საქმიანობა?

- აბსოლუტურად გეთანხმებით, სწორედ საზოგადოებამ უნდა მოახდინოს სასამართლოს საქმიანობის შეფასება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საერთაშორისო ორგანიზაციები სისტემატურად ატარებენ კვლევებს საზოგადოებრივი ნდობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით.

საქმის გადაწყვეტის ვადები, სასამართლოს თანამშრომელთა დამოკიდებულების შეფასება, სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის გაცემის პროცედურების სიმარტივე, მოსამართლეთა პროფესიონალიზმი და სასამართლოსადმი ნდობა - ასეთი გახლდათ იმ შეკითხვების ზოგიერთი ჩამონათვალი, რომელსაც სასამართლოში მისულმა მოქალაქეებს უსვამდნენ. ყველა პარამეტრის მიხედვით, მდგომარეობა სასამართლოში დადებითად შეფასდა, რაც, საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა.

შარშან ჩატარებული კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 68 პროცენტი ენდობოდა სასამართლოს. სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა ახლახანს - მაისის თვეში ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად აფასებს და სასამართლოს ენდობა გამოკითხულთა 70 პროცენტი.

აღმოჩნდა, რომ წინა წლებში ჩატარებულ ანალოგიური სახის კვლევებთან შედარებით, სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესებულია ყველა მიმართულებით.

გამოკითხვების მიზანი მხოლოდ ციფრების დაფიქსირება არ გახლავთ. ყველა ასეთ კვლევას აქვს ერთი დანიშნულებაც - სასამართლოებში არსებული სიტუაციის რეალურად დანახვა, მათი ანალიზი და პრობლემის არსებობის შემთხვევაში სიტუაციის გამოსწორებაზე ზრუნვა. როცა სიტუაციას იკვლევ, ეს ნიშნავს, რომ მდგომარეობის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნავ.

- წლების წინ, როცა პირველად ჩატარდა კვლევა, ქუთაისელები თავს არიდებდნენ პასუხის გაცემას შეკითხვებზე, ახლა როგორც ჩანს, სიტუაცია შეიცვალა. როგორ ფიქრობთ, გაიზარდა ქუთაისლების სამართლებრივი განვითარების დონე? მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ პერიოდს, როცა ქუთაისი "შავი სამყაროს" გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

- სამწუხაროდ, მართლაც იყო ასეთი სიტუაცია, ოღონდაც, წლების წინ. ახლა სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია - მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნება საოცრად გაიზარდა. მახსოვს, წლების წინ, ძალზე ხშირი შემთხვევები, როცა ბრალდებულები არ აღიარებდნენ დანაშაულს და სამართალდამცველებთან თანამშრომლობას თაკილობდნენ; დაზარალებული მოქალაქეები კი, თავიანთ პრობლემებს "ქუჩაში არჩევდნენ". ახლა პირიქითაა. მოსახლეობამ იცის, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოს, სამართალდამცველ უწყებებს უნდა მიმართოს; მოქალაქეები სამართალდამცველებთან თანამშრომლობენ და დარწმუნებული არიან, რომ მათი პრობლემები სამართლებრივი გზით - სასამართლოში მოგვარდება. ამის დასტურია ის, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა საქმეების რაოდენობამ. მაგალითად, წელს შარშანდელთან შედარებით გაორმაგებულია სასამართლოში შემოსულ საქმეთა რაოდენობა, განსაკუთრებით, სამოქალაქო საქმეები. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების სამართლებრივი დონე გაიზარდა და მათ აქვთ სასამართლოს ნდობა.

- საინტერესოა, სამომავლო გეგმები, კიდევ რა სიახლეების განხორციელებას აპირებთ სასამართლო სისტემაში?

- სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, შემიძლია გითხრათ, რომ იგეგმება საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის ამოქმედება, რაც მოქალაქეებს მეტ კომფორტს შეუქმნის, ხელს შეუწყობს და გაუადვილებს სასამართლოში წარმოებულ საქმეზე დეტალური ინფორმაციის მიღებას.

ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება მიიღოს მისი საქმის თაობაზე დეტალური ინფორმაცია - რა ეტაპზეა საქმე, რა დამატებითი ინფორმაციაა საჭირო და ა.შ. ანუ, მოქალაქეები თავის საქმის მიმდინარეობის თაობაზე მარტივად მიიღებენ ოპერატიულ ინფორმაციას მოსამართლის თანაშემწესთან და სასამართლოს სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობის გარეშე.

სასამართლოს ქრონიკა
11 ივლისი, 2011 წელი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი მსჯავრდებულთა სასიკეთოდ შეცვალა

ქურდული სამყაროს წევრობის, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის, ხულიგნობისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 6-კაციანი დანაშაულებრივი ჯგუფი გაასამართლა.



საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის მარტში, ხონის რაიონში მომხდარი ჩხუბი «ქურდული გარჩევებით» გაგრძელდა. მისი მონაწილეები რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ სარატოვში მცხოვრებ «კანონიერ ქურდ» ნოე წულაიას დაუკავშირდნენ, რომელმაც «ქურდული სამყაროს» უგულებელყოფისთვის თემურ ბერძენიშვილის დასჯის დავალება გასცა.

დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებმა მოილაპარაკეს, რომ ბერძენიშვილს ფიზიკურად გასწორებოდნენ, რითაც «კრიმინალური ავტორიტეტის» დავალებასაც შეასრულებდნენ და «ქურდული სამყაროსადმი» უარყოფითად განწყობილ მოსახლეობასაც დააშინებდნენ. თუმცა, მათი გეგმა ვერ განხორციელდა, რადგანაც, სამართალდამცველებმა გამოაშკარავეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად, სამტრედიის რაიონულ პროკურატურასა და მსჯავრდებულებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება აღიარებით ბრალსა და შეთანხმებით სასჯელზე.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, სასამართლომ განსასჯელებისათვის დადებული მსჯავრი დადასტურებულად ცნო და საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე სამართლიანად მიიჩნია.

სისხლის სამართლის პალატამ რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულთა სასიკეთოდ შეცვალა . პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული საპატიმრო სასჯელები 4-დან 11 წლამდე შემცირდა, დარჩენილი სასჯელი კი მსჯავრდებულებს პირობით ჩაეთვალათ. საბოლოოდ, გიორგი ჩანქსელიანს 3 წლით, მურმან და ზურაბ წივწივაძეებს - 5 წლით, შოთა ჭავჭანიძეს, კობა კაკაურიძესა და დიმიტრი ბუღაშვილს 4-4 წლით პატიმრობა მიესაჯათ.

მკაცრი განაჩენი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს და გამართლებული ბრალდებული

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ადამიანის გატაცების ორგანიზებაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვასა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებულები გაასამართლა. სასამართლომ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილე 4 პირს მკაცრი განაჩენი გამოუტანა.

საქმის მასალების მიხედვით, კ.მ. ჯგუფის მეორე წევრ დ.ბ-ს ქუთაისელი მენარმის გატაცების მიზნით დაუკავშირდა. ავთანდილ გაბადაძის გატაცების ორგანიზებისა და ჯგუფის საბრძოლო მასალით შეიარაღების მიზნით, მათ გეგმის მომზადებაში ჩართეს კიდევ ორი პირი - კ.მ. და გ.ს.

თუმცა, დანაშაულებრივმა ჯგუფის წევრებმა წინასწარ დამუშავებული გეგმა, რომლის მიხედვითაც, მეწარმე უნდა გაეტაცებინათ, სისრულეში ვერ მოიყვანეს. თერჯოლიდან ქუთაისში მიმავალი კ.მ. და დ.ბ. პოლიციელებმა დააკავეს. მათი მანქანისა და პირადი ჩხრეკისას პოლიციამ ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები ვაზნებით, 4 პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება, ნიღბები, სამი წყვილი ხელთათმანი, თოკი და წებოვანი ლენტი - "სკოჩი." ჯგუფის მესამე წევრი ბ.ე. კი, პოლიციამ ქუთაისში დააკავა. გ.ს. კი, რომელიც დაუსწრებლად გასამართლდა, ამჟამად ძებნილია.

ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრთა საქმე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა და არ გაიზიარა ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების მოთხოვნა განსასჯელების უდანაშაულოდ ცნობის შესახებ. საქმეში არსებული ავტომანქანებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ექსპერტიზის დასკვნებითა და მოწმეთა ჩვენებებით სასამართლომ ბრალდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენა დადასტურებულად ცნო.

"სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდებულების ვერსიას მათი უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, რადგან გარდა იმისა, რომ იგი ვერ დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, მათთან წინააღმდეგობაშიც მოდის. რაც ააშკარავებს ბრალდებულების განზრახვას, მოგონილი ვერსიით თავი აარიდონ მოსალოდნელ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას," - ნათქვამია განაჩენის სამოტივაციო ნაწილში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ორგანიზებული-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს მკაცრი განაჩენი გამოუტანა - კ.მ-ს - 29 წლით, დ.ბ-ს - 26 წლით, ბ.ე-ს - 25 წლით, გ.ს-ს კი 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი საქმე განიხილა, თუმცა ამ შემთხვევაში, გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა - თვითნებურ ქმედებაში ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო. ზურაბ ბაღდაროვს ბრალი თანასოფლელ ნანა ჯ-ს ოჯახიდან საყოფაცხოვრებო ნივთების თვითნებურად წაღებაში ედებოდა.

გამოძიების მასალების მიხედვით, ნანა ჯ-მ ბრალდებულის კუთვნილი სასურსათო მაღაზიიდან აღებული პროდუქტის ვალის - 114 ლარის გადახდა დააგვიანა. სწორედ ამ ვალის ნაცვლად წაიღო ზურაბ ბაღდაროვმა ნანა ჯ-ს სახლიდან ტელევიზორი და დვდ მაგნიტოფონი. ოჯახის დიასახლისის პოლიციაში ჩივილის შემდეგ ბაღდაროვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებსა და საქმის სხვა მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ბრალდებულს თვითნებური ქმედება არ ჩაუდენია. ნანა ჯ-ს მეუღლემ გურამ შ-მ სასამართლოზე დაადასტურა, რომ ბაღდაროვს მისი სახლიდან საყოფაცხოვრებო ნივთები ძალადობით არ წაუღია - ისინი შეთანხმებული იყვნენ, რომ ვალის გასტუმრების შემდეგ ნივთებს დაიბრუნებდნენ.

სასამართლომ ზურაბ ბაღდაროვს ბრალდება მოუხსნა და იგი უდანაშაულოდ ცნო.

შემცირებული სასჯელები

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, თაღლითობისათვის მსჯავრდებულ ზ.რ-ს სასჯელი 30-დან 6 წლამდე შეუმცირდა. გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მსჯავრდებულის დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.

საქმის მასალების მიხედვით, «საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ლანჩხუთის მომსახურეობის ცენტრის ტექნიკოს-ელექტრიკოსმა ზ.რ-მ არა ერთხელ მიითვისა მოსახლეობაში შეგროვილი მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარი თანხა. სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ ზ.რ-სთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი დადასტურებულად მიიჩნია. თუმცა, სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლება და კანონით გათვალისწინებულზე მსუბუქი სასჯელი დანიშნა. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ზ.რ-ს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კიდევ ერთი განაჩენით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი 4 მსჯავრდებულს შეუმცირდა. კ.გ-ს, ზ.ჭ-ს, ნ.შ-სა და გ.უ-ს. მათ მსჯავრი ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვის, ქურდობის, ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება-გასაღებისთვის დაედოთ.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მესტიის რაიონში უკანონოდ გაჩეხეს 45,47 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, რისი გადამუშავების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი 9.541 ლარად შეფასდა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ კ.გ-სა და ზ.ჭ-ს 7-7 წლით, გ.უ-ს 10 წლით, ნ.შ-ს 8 წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულების სასიკეთოდ შეიცვალა. სისხლის სამართლის პალატამ დაამტკიცა დაცვის მხარესა და სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. თითოეულ მსჯავრდებულს საპატიმრო სასჯელი 6-6 წლით შეუმცირდა. სასამართლომ მათ დამატებითი მსჯავრის სახით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმების გადახდა დააკისრათ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების სასიკეთოდ რაიონული სასამართლოს კიდევ ერთი განაჩენი შეცვალა. ა.ბ-სა და მ.ბ-ს 9-წლიანი საპატიმრო მსჯავრი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის დაედოთ. აღნიშნული დანაშაული მსჯავრდებულებმა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს ბათუმის განყოფილებაში მუშაობისას ჩაიდინეს. შპს «ურეხში» სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის დროს სარევიზიო ჯგუფმა მთელი რიგი დარღვევები აღმოაჩინა. ა.ბ. და მ. ბ. შპს-ს დამფუძნებელს ე.წ. «სუფთა აქტის» შედგენის სამაგიეროდ ქრთამზე გაურიგდნენ.

მსჯავრდებულთა აღიარებით ჩვენებებისა და საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი დადასტურებულად მიიჩნია.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება დადებული იყო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. გარდა ამისა, დანაშაულის სიმძიმისა და ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე, შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა და სახე სამართლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სს კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლება და მსჯავრდებულებს კანონით გათვალისწინებულზე მსუბუქი სასჯელი დაუნიშნა. ა.ბ-სა და მ.ბ-ს 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, საიდანაც 3 წელი პირობითად ჩაეთვალათ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, მსჯავრდებულს სასჯელი 5 წლით შეუმცირდა. არა ერთხელ ჩადენილი ქურდობისათვის 10-წლიანი პატიმრობა ი.მ-ს ჩოხატაურის რაიონულმა სასამართლომ მიუსაჯა.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ დაადგინა, რომ ი.მ-ს მიერ ჩადენილი ქურდობის ორი ეპიზოდი რაიონული სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული ორჯერ, ერთი და იმავე მუხლის შესაბამისი ნაწილებით. სასჯელის განსაზღვრისას პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სს კოდექსში 2007 წლის 4 ივლისის კანონის თანახმად შესული ცვლილებით, რომლის მიხედვით, არაერთგზის ჩადენილი დანაშაული ნიშნავს პირის მიერ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

«2007 წლის 4 ივლისის კანონის დათქმის თანახმად, კანონის პირველი ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე. გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირმა ბოლო ქმედება ჩაიდინა კანონის ამოქმედების შემდეგ. ი. მ-მ დანაშაულის ორივე ეპიზოდი ჩაიდინა 2006 წლის ივლისში. ამრიგად, მას დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილი აქვს 2007 წლის 2 აგვისტომდე, ე.ი. კანონის ამოქმედებამდე,» - ასე განმარტა სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს განაჩენში შეტანილი ცვლილება თავის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ი.მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის ორი ეპიზოდი ერთი მუხლით დააკვალიფიცირა და მსჯავრდებულს სასჯელი 5 წლით შეუმცირა.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia